

შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	7
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	8

შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	796,534	1,010,379
სულ გრძელვადიანი აქტივები		796,534	1,010,379
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	556,545	297,776
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	388,059	617,629
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	2,054,895	3,230,939
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
საგადასახადო აქტივები		-	1,128
მისაღები პროცენტები		50,800	23,553
გადახდილი ავანსები	7	6,408,230	4,533,388
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,458,530	8,704,413
მთლიანი აქტივები		10,255,063	9,714,792
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		17,800	17,800
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		6,561,424	3,852,109
მთლიანი კაპიტალი		6,579,224	3,869,909
არამაკონტროლებელი წილი		(84,823)	(61,944)
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	2,306,874	4,786,068
მოკლევადიანი სესხები		1,453,789	1,120,758
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,760,663	5,906,826
მთლიანი ვალდებულებები		3,760,663	5,906,826
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		10,255,063	9,714,791

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 27 სექტემბერს.

სტეფანე ზაზუნაშვილი

დირექტორი



შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	9	7,603,417	7,011,090
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,365,760)	(3,937,071)
საერთო მოგება		5,237,657	3,074,019
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,582,659)	(1,318,291)
ცვეთა და ამორტიზაცია		(238,109)	(247,741)
საპროცენტო შემოსავალი		18,741	12,021
საპროცენტო ხარჯი		(98,953)	(50,433)
იჯარის ხარჯი		(95,740)	(94,114)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(319,736)	(298,194)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,316,457)	(1,996,753)
საოპერაციო მოგება		2,921,200	1,077,266
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი/რევერსირება			111,780
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო		314,301	157,890
ოპერაციებიდან:	14		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		7,109	60,954
		321,410	330,624
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		3,242,610	1,407,890
განგრძობითი ოპერაციებიდან			
მოგების გადასახადი		-	(651)
მოგება/(ზარალი)		3,242,610	1,407,239
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		3,242,610	1,407,239
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი მისაკუთვნიებელი			
ჯგუფზე		3,265,489	1,430,625
არამაკონტროლებელ წილზე		(22,878)	(23,386)
		3,242,610	1,407,239

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 27 სექტემბერს.

სტეფანე ზაზუნაშვილი

დირექტორი



შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	სულ	არამაკონტროლებე ლი წილი	სულ კაპიტალი
საწყისი ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	17,800	3,852,109	3,869,909	(61,944)	3,807,966
კაპიტალის ზრდა/შემცირება			-		-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		3,265,489	3,265,489	(22,878)	3,242,610
გადახდილი დივიდენდები		(556,175)	(556,175)		(556,175)
კაპიტალის სხვა ცვლილებები			-		-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	17,800	6,561,424	6,579,224	(84,822)	6,494,401

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 27
სექტემბერს.

სტეფანე ზაზუნაშვილი

დირექტორი



შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	796,534	1,010,379
სულ გრძელვადიანი აქტივები		796,534	1,010,379
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	556,545	297,776
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	388,059	617,629
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	2,054,895	3,230,939
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
საგადასახადო აქტივები		-	1,128
მისაღები პროცენტები		50,800	23,553
გადახდილი ავანსები	7	6,408,230	4,533,388
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,458,530	8,704,413
მთლიანი აქტივები		10,255,063	9,714,792
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		17,800	17,800
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		6,561,424	3,852,109
მთლიანი კაპიტალი		6,579,224	3,869,909
არამაკონტროლებელი წილი		(84,823)	(61,944)
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	2,306,874	4,786,068
მოკლევადიანი სესხები		1,453,789	1,120,758
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,760,663	5,906,826
მთლიანი ვალდებულებები		3,760,663	5,906,826
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		10,255,063	9,714,791

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს.

სტეფანე ზაზუნაშვილი

დირექტორი

შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	9	7,603,417	7,011,090
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,365,760)	(3,937,071)
საერთო მოგება		5,237,657	3,074,019
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,582,659)	(1,318,291)
ცვეთა და ამორტიზაცია		(238,109)	(247,741)
საპროცენტო შემოსავალი		18,741	12,021
საპროცენტო ხარჯი		(98,953)	(50,433)
იჯარის ხარჯი		(95,740)	(94,114)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(319,736)	(298,194)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,316,457)	(1,996,753)
საოპერაციო მოგება		2,921,200	1,077,266
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი/რევერსირება			111,780
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	14	314,301	157,890
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		7,109	60,954
		321,410	330,624
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		3,242,610	1,407,890
მოგების გადასახადი		-	(651)
მოგება/(ზარალი)		3,242,610	1,407,239
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		3,242,610	1,407,239
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი მისაკუთვნიებელი			
ჯგუფზე		3,265,489	1,430,625
არამაკონტროლებელ წილზე		(22,878)	(23,386)
		3,242,610	1,407,239

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს.

სტეფანე ზაზუნაშვილი

დირექტორი

შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	სულ	არამაკონტროლებე ლი წილი	სულ კაპიტალი
საწყისი ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	17,800	3,852,109	3,869,909	(61,944)	3,807,966
კაპიტალის ზრდა/შემცირება			-		-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		3,265,489	3,265,489	(22,878)	3,242,610
გადახდილი დივიდენდები		(556,175)	(556,175)		(556,175)
კაპიტალის სხვა ცვლილებები			-		-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	17,800	6,561,424	6,579,224	(84,822)	6,494,401

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს.

სტეფანე ზაზუნაშვილი

დირექტორი

შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „სის ბიზნეს სერვისი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2004 წლის 19 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნ. ნიკოლაძის ქუჩა №7. კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა კავშირგაბმულობა (კავშირგაბმულობის მოწყობილობების იმპორტი, რეალიზაცია და მონტაჟი). 2010 წლიდან დღემდე კომპანია ჩართულია "ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის" მშენებლობის პროექტში, სადაც კავშირგაბმულობასთან ერთად ახორციელებს კონკრეტულად ახალქალაქის რკინიგზის სადგურის შენობის მშენებლობას. კომპანია ასევე ახორციელებს ლიფტების იმპორტსა და მონტაჟს, სურსათის პროდუქტების იმპორტს და რეალიზაციას. კომპანიას გააჩნია 1 სათაო ოფისი თბილისში და საჭიროების მიხედვით რეგიონებში, სადაც მიმდინარეობს მშენებლობები/სამუშაოები.

კომპანიის წილი განაწილებულია შემდეგნაირად:

ვლადიმირ ლახტენკოვი (01191013702)	80%
სტეფანე ზაზუნაშვილი (01011018839)	20%

შპს „სის ბიზნეს სერვისი“-ს შვილობილი საწარმოს ძირითადი საქმიანობა მოიცავს ამწე და გადასაზიდი მოწყობილობების/მანქანების (მ.შ. ლიფტების) და ამძრავთა სისტემების და მათი ნაწილების აწყობა, წარმოება, მიწოდება, მონტაჟი, დემონტაჟი, რემონტი და მოწყობა. აღნიშნულ სფეროში მომსახურების გაწევა, მათ შორის სერვის ცენტრის და სასწავლო ცენტრის მოწყობის გზითაც; ზემოაღნიშნული სფეროსთვის საავარიო სადისპეტჩერო სამსახურის მოწყობა; აღნიშნულ სფეროში კონსტრუირება, პროექტირება და საჭირო ტექნოლოგიების დანერგვა.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

შპს „სტუ“ – 74% წილის ფლობით როგორც 2020 ასევე 2019 წელს.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6-“ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

როგორც ჯგუფის ასევე შვილობილი კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ჯგუფი ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31/12/2020	31/12/2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

	წელი
ნაგებობები	10
მანქანა-დანადგარები	1-6
ოფისის აღჭურვილობა	2-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1-5
სატრანსპორტო საშუალებები	5-7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3-5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმოდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო ვალდებულებები/აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადო სახელსაღსოვლო ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო

შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3 ძირითადი საშუალებები

	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
01-01-2020							
თვითღირებულება	122,420	81,838	71,960	21,243	1,364,173	2,351	1,663,985
შემოსვლა	-	38,708	4,273	1,935	-	-	44,916
გასვლა					(34,633)		
31-12-2020							
თვითღირებულება	122,420	120,547	76,233	23,177	1,329,540	2,351	1,674,267
01-01-2020							
აკუმულირებული ცვეთა	(10,049)	(50,724)	(52,504)	(12,357)	(525,414)	(1,669)	(652,716)
პერიოდის ცვეთა	(4,817)	(18,275)	(10,088)	(2,994)	(204,955)	(446)	(241,575)
გასვლა					16,558		
31-12-2020							
აკუმულირებული ცვეთა	(14,866)	(68,999)	(62,592)	(15,351)	(713,811)	(2,115)	(877,733)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019	112,371	31,114	19,457	8,886	838,759	682	1,011,269
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020	107,554	51,547	13,642	7,826	615,729	236	796,534

4 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისგან.

	2020	2019
ნაღდი ფული სალაროში	133,923	142,598
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	422,619	155,177
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3	-
სულ	556,545	297,776

5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2020	2019
ნედლეული და მასალები	365,123	599,115
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	22,937	18,514
სულ	388,059	617,629

6 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2020	2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,894,460	3,139,411
საექვო მოთხოვნების რეზერვი	-	(31,544)
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	160,436	123,071
სულ	2,054,895	3,230,938

შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

7 გადახდილი ავანსები

	2020	2019
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	4,832	1,246
უცხოელი მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	307,327	330,711
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	6,096,071	4,201,431
სულ	6,408,230	4,533,388

8 მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები

	2020	2019
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	147,374	824,987
უცხოელი მომწოდებლები	540,992	345,469
მიღებული ავანსები	506,811	817,231
გადასახდელი ხელფასები	281,968	527,784
ფ/კ მომსახურება	9,469	7,875
არარეზიდენტების მომსახურება	69,796	153,625
ტრანსპორტის იჯარა	1,913	8,778
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	10,863	12,630
ვალდებულებები მეკავშირე საწ-ების წინაშე	-	2,058,458
საგადასახადო ვალდებულებები	119,732	7,356
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	617,956	21,875
სულ	2,306,874	4,786,068

9 ამონაგები

	2020	2019
შემოსავალი რეალიზიციიდან	7,580,157	4,112,706
სხვა საოპერაციო შემოსავლები	23,260	2,898,384
სულ	7,603,417	7,011,090

10 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	109,755	67,056
კომუნიკაციის ხარჯები	16,599	13,845
დაზღვევა	31,802	27,982
რემონტი	69,079	30,898
საკონსულტაციო ხარჯები	33,950	40,597
სხვა საერთო ხარჯი	58,551	117,816
სულ	319,736	298,194

შპს „სის ბიზნეს სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

11 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება 2019 და 2020 წლებში შეადგენდა 331,434 ლარს 348,551 შესაბამისად.

12 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.